



მოსკოვში დაგეგმილ შიდსის კონფერენციაზე არ უშვებენ იმ პაციენტებს, რომლებიც ნარკოტიკულ დამოკიდებულებას მკურნალობენ

საინიციატივო ჯგუფი მოგიწოდებთ დაუყოვნებელი გავრცელებისათვის!

საკონტაქტო ინფორმაცია:

ირინა ბორუშეკი, სრულიად უკრაინის შიდსით დაავადებულთა ქსელი
ტელ: +38-067-547-5780,
ელ. ფოსტა: iborushek@gmail.com

რამინტა შტუკაიტე, ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელი
ტელ: +370-699-666-77
ელ. ფოსტა: raminta@harm-reduction.org

პოლ სილვა, ღია საზოგადოების ინსტიტუტი
ტელ: +1-212-548-0309
ელ. ფოსტა: psilva@sorosny.org

ვლადიმერ ჟოვტიაკი, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის გაერთიანება
ტელ: +38- (044) 467-7665
ელ. ფოსტა: vladimir@network.org.ua

კიევი, უკრაინა, 14 თებერვალი, 2008წ. - მსოფლიოს 27 ქვეყნიდან საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე 90-მდე ორგანიზაცია და მოძრაობა, რუსეთის ფედერაციის ჯანმრთელობის მინისტრს მიმართავს თხოვნით დაეხმაროს კონფერენციის მონაწილეებს რუსეთის ტერიტორიაზე შესვლაში, რომლებიც სამედიცინო პრეპარატებს ღებულობენ ნარკოტიკული დამოკიდებულების სამკურნალოდ.

რუსეთში მეთადონი აკრძალული პრეპარატია სიაშია, ხოლო ბუპრენორფინი აკრძალულია ნარკოდამოკიდებულების სამკურნალოდ, თუმცა სხვა ქვეყნებში ორივე პრეპარატი გამოიყენება ოპიატების დამოკიდებულების სამკურნალოდ (მაგალითად, ჰეროინი). უფრო მეტიც აღიარებულია როგორც თერაპიის თვალსაზრისით, ასევე აივ ინფექციების პროფილაქტიკის თვალსაზრისთაც.

ვლადიმერ ჟოვტიაკის თქმით - აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის შიდსის ვირუსით დაავადებულ ადამიანთა გაერთიანების პრეზიდენტი - “იმისათვის, რომ განთავისუფლდნენ დამოკიდებულებისაგან და გაიუმჯობესონ საკუთარი ცხოვრების ხარისხი აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალურ აზიაში ათასობით ადამიანი იყენებს მეთადონსა და ბუპრენორფინს. ამასთან დაკავშირებით, იმისათვის რომ მივიღოთ შიდსის შესახებ სურათი, ჩვენთვის აუცილებელია მოსახლეობის მარგინალიზირებული ჯგუფის მონაწილეობა, მათ შორის ნარკოტიკების მომხმარებელთა საზოგადოებისაც”.

საინიციატივო ჯგუფი მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას გააკეთოს გამონაკლისი და კონფერენციაზე დაუშვას ის მონაწილეები, რომლებიც დღესდღეობით მკურნალობას გადიან მეთადონითა და ბუპრენორფინით.

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის შიდსის კონფერენცია გაიმართება 2008 წლის მაისის თვეში. სავარაუდოდ, იგი უნდა გახდეს მოწინავე ფორუმი, რომელზეც ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებსა და შიდსთან ბრძოლის მოძრაობის აქტივისტებს უპრეცედენტო საშუალება ექნებათ იმსჯელონ, თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ მზარდ ეპიდემიას. როგორც მიმართვის მონაწილეები აღნიშნავენ, რეგიონში ინექციური ნარკოტიკების მოხმარება აივ ინფიცირების 70%-ზე

მეტ მიზეზს წარმოადგენს. აქტივისტების უმრავლესობა წარსულში ნარკოტიკების მომხმარებელი იყო და მკურნალობას გადის მეთადონით ან ბუპრენორფინით. ეს ადამიანები არჩევანის წინაშე დადგებიან: საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ან ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხების შესახებ ფორუმში მონაწილეობა.

“რუსეთის მიერ ნარკოდამოკიდებულების მკურნალობისათვის საჭირო პრეპარატების - მეთადონისა და ბუპრენორფინის აკრძალვა, ასევე კონფერენციის ორგანიზატორების უუნარობა უზრუნველყონ იმ ადამიანების კონფერენციაში მონაწილეობა, რომლებიც გადიან მეთადონით ან ბუპრენორფინით თერაპიას, ზიანს აყენებს კონფერენციის მიზნებს და უზუღებელყოფს იმ ადამიანების საჭიროებებს, რომლებიც ინფიცირების მაღალ რისკ-ჯგუფს წარმოადგენს ან შიდსით არიან დაავადებულნი” - განაცხადა რამინტა შტუკაიტემ, ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელის წარმომადგენელმა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მეთადონი და ბუპრენორფინი დღესდღეობით შესულნი არიან “სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სამკურნალო საშუალებების სიაში”. ისინი გამოიყენება ნარკოდამოკიდებულების სამკურნალოდ მრავალ ქვეყანაში, მათ შორის აზერბაიჯანი, ბელარუსია, საქართველო, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, მოლდოვეთი, უკრაინა, უზბეკეთი და ესტონეთი და სხვ.

წერილის სრული ვერსია ხელმომწერ ჯგუფთან ერთად შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე:

http://www.soros.org/initiatives/health/focus/ihrd/news/petition_20080214